ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„ბიზნეს-საკონსულტაციო მომსახურების ცენტრის“

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს

2018 წ. 22 მარტის სხდომაზე, ოქმი #9

ქუთაისი

2018

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „ბიზნეს-საკონსულტაციო მომსახურების ცენტრი" (შემდგომში – ცენტრი) შექმნილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით.
2. ცენტრი იქმნება საქართველოს დასავლეთ რეგიონში ბიზნესით დაინტერესებული პირებისთვის საინფორმაციო და/ან საკონსულტაციო მომსახურების განვითარების მიზნით;
3. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით;
4. ცენტრის საქმიანობის მინიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო;
5. ცენტრის ხელმძღვანელს ამტკიცებს და ათავისუფლებს ფაკულტეტის საბჭო, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, დეკანის წარდგინებით;
6. ინფორმაციას ცენტრის საქმიანობის შესახებ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ცენტრის ხელმძღვანელი.
7. „ბიზნეს-საკონსულტაციო მომსახურების ცენტრი" ანაზღაურების გარეშე, მუდმივად გაუწევს კონსულტაციებს ბიზნესით დაინტერესებულ დამწყებ პირებს, ე.წ. „სტარტაპებს", შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე;
8. ცენტრის მისამართია: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის 59; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აუდიტორია № 2208;

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის მიზანია:

1. საქართველოს დასავლეთ რეგიონში, განსაკუთრებით იმერეთში, ბიზნესის განვითარებაში წვლილის შეტანა და სოციალური აქტივობის გაზრდა;
2. „ბიზნესის ადმინისტრირების" და „ეკონომიკის" სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

მუხლი 3. ცენტრის საქმიანობის ფუნქციები და ამოცანები:

1. საინფორმაციო და/ან საკონსულტაციო მომსახურების სფეროში:
   I. ბიზნესმენებთან არსებული კონტაქტების განვითარება ცოდნის გადაცემის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ორგანიზებით;
   II. ბიზნეს-კონსულტაციები (მათ შორის, საბუღალტრო/საგადასახადო);
   III. დამწყები ბიზნესმენებისთვის ბიზნეს იდეების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა და სრულყოფა;
2. კვლევების სფეროში:
   I. პროექტების ეკონომიკური/ბიზნეს შეფასება;
   II. მომხმარებლებისთვის სამეცნიერო-პრაქტიკული ლიტერატურის მიწოდება.
3. ცენტრის კონსულტანტთა მომზადების სფეროში:
   I. კონსულტანტების შერჩევა დეპარტამენტის თანამშრომლებიდან;
   II. კონსულტანტების შერჩევა სტუდენტებიდან;

III. კონსულტანტების მეთოდური დახმარება და, აუცილებლობის შემთხვევაში, გადამზადება.

მუხლი 4. ცენტრის უფლებები და მოვალეებები

1. ცენტრის უფლებები:

I. კომპეტენციის ფარგლებში დაამყაროს ურთიერთობები სხვა რეგიონის ანალოგიურ ცენტრებთან და იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან;

II. აუცილებლობის შემთხვევაში, საქმიანობაში ჩართოს დამოუკიდებელი ექსპერტი.

2. ცენტრის მოვალეობები:

I. იზრუნოს ბიზნესით დაინტერესებულ პირთა საინფორმაციო და/ან საკონსულტაციო მომსახურების შექმნასა და განვითარებაზე, ახალი ტექნოლოგიების მოძიებასა და გამოყენებაზე, მათთან უშუალო კონტაქტების დანერგვა/გაუმჯობესობაზე;

II. მომხმარებლებს გაუწიოს ორგანიზაციული/მეთოდური დახმარება;

III. უზრუნველყოს ამ წესდებით დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულება.

მუხლი 5. ცენტრის მართვა

1. ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს „ცენტრის ხელმძღვანელი", რომელიც წარმოადგენს ცენტრს მესამე პირ(ებ)თან ურთიერთობაში.

2. ცენტრის ხელმძღვანელი აგებს პასუხს ცენტრის საქმიანობაზე, შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების ფარგლებში.

3. ცენტრის საქმიანობაში ჩართულია ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის წევრები და ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტები.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი

1. ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით.

2. ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით.

მომსახურების ხელშეკრულება

ქუთაისი, ___ _____ 2018წ.

1 ხელშეკრულების მხარეები

ეს ხელშეკრულება დადებულია მხარეებს შორის:

ერთის მხრივ, ----------, მისამართი: ----------, ტელ. ----------, ელ. ფოსტა ----------, წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- მიერ, შემდეგში: დამკვეთი,

და

მეორეს მხრივ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნეს-საკონსულტაციო მომსახურების ცენტრის" მისამართი: თამარ მეფის 59, ტელ. ----------, ელ. ფოსტა ----------, წარმოდგენილი ცენტრის ხელმძღვანელის ---------- მიერ, შემდეგში: შემსრულებელი.

2 ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

2.2 საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს: ფინანსური დოკუმენტების ანალიზს; ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების შემოწმებას; ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების შესაბამისობის დადგენას საგადასახადო კანონმდებლობასთან; ბაზრის კვლევას; რეკომენდაციის შემუშავებას.

2.3 საკონსულტაციო მომსახურების გაწევას შემსრულებელი უზრუნველყოფს თავისი ან/და მოწვეული კონსულტანტების მეშვეობით, მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

3 მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1 დამკვეთი ვალდებულია:

3.1.1 გააცნოს შემსრულებელს მისი საქმიანობის სფერო, დასაბეგრი ოპერაციები, ბრუნვა, შემოსავლები და გასავლები და მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მასთან დაკავშირებული ყველა საფინანსო დოკუმენტი და ინფორმაცია. შემკვეთის ეს ვალდებულება გრძელდება ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში;

3.1.2 აცნობოს შემსრულებელს, რომ მის მიერ გადაცემული დოკუმენტი ან სხვა რაიმე მონაცემი წარმოადგენს კონფიდენციალურს და მოსთხოვოს, რომ იგი არ გახდეს ცნობილი გარეშე პირებისათვის. გარეშე პირებად არ ითვლება მომსახურების პროცესში ჩართული შემსრულებლის თანამშრომლები;

3.1.3 შემსრულებელს და მის მიერ მოვლენილ კონსულტანტთა ჯგუფს შეუქმნას შეთანხმებული, სათანადო სამუშაო პირობები;

3.1.4 გადაიხადოს მომსახურების საფასური შეთანხმებული ოდენობით და ვადაში;

3.1.5 შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

3.1.6 დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს შემსრულებლისაგან ინფორმაცია, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს შემკვეთს ინფორმაცია მომსახურების მიმდინარეობის შესახებ. ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს მოთხოვნილი ფორმის მიხედვით _ ზეპირად, წერილობით ან ელექტრონული სახით.

3.2 შემსრულებელი ვალდებულია:

3.2.1 გაუწიოს დამკვეთს მომსახურება ამ ხელშეკრულებით შეთანხმებულ ფარგლებში;

3.2.2 არ გაახმაუროს დამკვეთის ფინანსური/კომერციული საიდუმლოება;

3.2.3 მიაწოდოს ინფორმაცია დამკვეთს მომსახურების მიმდინარეობის შესახებ;

3.2.4 სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებისას დაუბრუნოს დაშემკვეთს მის მიერ გადმოცემული მასალები.

3.2.5 შემსრულებელს არა აქვს უფლება დამკვეთის თანხმობის გარეშე სხვას გადააკისროს მის მიერ შესასრულებელი მომსახურება, გარდა ტექნიკური ხასიათის სამუშაოს შესრულებისა.

3.2.6 მომსახურების გაწევის დასრულებისას შემსრულებელი დამკვეთს წარუდგენს ანგარიშს, რომელშიც აისახება საკონსულტაციო მომსახურების განხორციელებით მიღებული შედეგები, ასევე _ რეკომენდაციები სამომავლო წარმატების მისაღწევად.

4 ინფორმაციის მიწოდება

4.1 დამკვეთი მოვალეა შეუფერხებლად მიაწოდოს შემსრულებელს მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განსახორციელებლად არის საჭირო, აგრეთვე დაეხმაროს მას მომსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებაში. თუ ინფორმაციის მოპოვება დაკავშირებულია ხარჯებთან, დამკვეთი ვალდებულია გაიღოს ეს ხარჯი.

4.2 იგულისხმება, რომ დამკვეთის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია არის სრული, სწორი და ლეგალური.

4.3 მიღებული დოკუმენტაცია დაუბრუნდება დამკვეთს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამთავრებისთანავე.

5 კონფიდენციალობა

5.1 შემსრულებელი და მის მიერ დაქირავებული პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს დამკვეთის კონფიდენციალობის დაცვა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მისი დამთავრების შემდეგ. კერძოდ, შემსრულებელს და მის მიერ დაქირავებულ პერსონალს არა აქვს უფლება დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე გამოაქვეყნოს, გაუმჟღავნოს მესამე პირს მოპოვებული ან მათთვის მიწოდებული ინფორმაცია, მომსახურების განმავლობაში ფორმულირებული რეკომენდაციები ან გაწეული მომსახურების შედეგები, აგრეთვე დამკვეთის საზიანოდ გამოიყენოს მისთვის მიწოდებული ინფორმაცია და ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ჩატარებული გამოკვლევის შედეგები.

5.2 ამ ვალდებულების დარღვევისათვის ბრალეულობისა და მიყენებული ზიანის ფარგლებში შემსრულებელი პასუხს აგებს წარმოშობილი ზიანისათვის. მტკიცების ტვირთი ეკისრება დამკვეთს.

5.3 ამ მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობა დგება მაშინაც, თუ კონფიდენციალობა დარღვეული იქნა შემკვეთის მიერ დაქირავებული პერსონალის მიერ, რომელიც კონკრეტული დავალების შესასრულებლად იქნა გაგზავნილი დამკვეთთან. ასეთ შემთხვევაში დაქირავებულ პირს ეკისრება სოლიდარული პასუხიმგებლობა.

6 სახელშეკრულებო ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

6.2 მომსახურების ვადა განისაზღვრება _____

7 მომსახურების საფასური

7.1 მომსახურების საფასური შეთანხმებულია მხოლოდ საკონსულტაციო მომსახურებისათვის.

7.2 მომსახურების საფასური შეადგენს კალენდარულ თვეში ------- (სიტყვიერად: --------) ლარს.

7.3 შემკვეთის მიერ მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს მომდევნო კალენდარული თვის 5 რიხცვამდე.

7.4 დამკვეთი ვალდებულია მომსახურების საფასურის გადახდის ვადის გადაცილებისათვის დამატებით გადაუხადოს შემსრულებელს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

7.5 მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით შემსრულებლის შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

8. საავტორო უფლებები

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ ამ ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი, გადამუშავებული ან/და შედგენილი ყველა დოკუმენტის ეკუთვნის დამკვეთს.

8.2 დამკვეთს უფლება აქვს ამ ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილი, შედგენილი ან/და გადამუშავებული ნაწარმი თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს, კერძოდ _ მოახდინოს მისი რეპროდუცირება, გადამუშავება, გავრცელება და ა.შ.

9 ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს.

9.2 დამკვეთს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

9.2.1 შემსრულებელი არ უწევს შეთანხმებულ მომსახურებას;

9.2.2 შემსრულებელმა დაარღვია ნაკისრი ვალდებულება.

9.3 თუ დამკვეთი არ გადაუხდის შემსრულებელს შეთანხმებულ ანაზღაურებას ან/და გადააცილებს გადახდის ვადას, მაშინ შემსრულებელს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება საზღაურის გადახდის ვადის დადგომიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ. ხელშეკრულების

ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ შემსრულებელმა წერილობით უნდა აცნობოს დამკვეთს შეწყვეტის საფუძვლის მითითებით.

9.4 ხელშეკრულება შეწყდება ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინებით.

9.5 ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს აუნაზღაუროს უკვე შესრულებული მომსახურების საფასური.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

10.1 შემსრულებელი დამკვეთს უსრულებს დავალებას და კონსულტაციას უწევს შეთანხმების საფუძველზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში. დამკვეთის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგებზე პასუხისმგებლობას იხსნის შემსრულებელი.

10.2 თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის.

10.3 თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (ხანძარი და აფეთქება, წყალდიდობა, სტიქიური უბედურება; სამხედრო მოქმედება, აჯანყება, სამოქალაქო ომი.) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

10.4 თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ შეატყობინოს დაუძლეველი ძალის არსებობის შესახებ, რის გამოც იგი ვერ ახერხებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

10.5 ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

11. დამატებითი პირობები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

11.2 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით გარიგების დადებით.

12. მხარეთა ხელმოწერა

დამკვეთი:

_____

შემსრულებელი:

ცენტრის ხელმძღვანელი:

_____